

განმარტებითი ბარათი

საკრებულოს დადგენილების პროექტზე „თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

ძირითადი საპროგნოზო მაჩვენებლები

შემოსულობების პროგნოზი

საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები შეესაბამება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის 6-ე და 61-ე პუნქტების გათვალისწინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებულ საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს და 2022 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 22845,4 ათას ლარს შეადგენს. 2021 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2022 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 2955,4 ათასი ლარით.

2022 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

- ქონების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი 2021 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია (900,0 ათასი ლარით) და განისაზღვრება 5 000,0 ათასი ლარით;
- 2021 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით დამატებული ღირებულების გადასახადი გაზრდილია (2055,4 ათასი ლარით) და განისაზღვრება 17845,40 ათასი ლარის ოდენობით;

გრანტების სახით (დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად მისაღები შემოსავლები) დაგეგმილი მაჩვენებლების პროგნოზი 310,0 ათასი ლარის შეადგენს;

სხვა შემოსავლების დაგეგმილი პროგნოზი განისაზღვრება 2540,1 ათასი ლარით, მათ შორის:

- პროცენტები 500,0 ათასი ლარი;
- რენტა 442,0 ათასი ლარი, აქედან მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის -250,0 ათასი ლარი, შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან -192,0 ათასი ლარი;
- სანებართვო მოსაკრებლები 13,0 ათასი ლარი;
- სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი 0,8 ათასი ლარი;
- სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი 144,0 ათასი ლარი;
- მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 200,0 ათასი ლარი;
- შემოსავლები მომსახურების გაწევიდან (შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან) 54,0 ათასი ლარი;
- შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 1100,0 ათასი ლარის ოდენობით;
- შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 86,3 ათასი ლარით;

არაფინანსური აქტივების კლების სახით მისაღები თანხების პროგნოზი განისაზღვრება 2000,0 ათას ლარით;

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით 2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობები შეადგენს 27695,0 ათას ლარს.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა შეადგენს 27695,5 ათას ლარს.

თელავის მუნიციპალიტეტის საერთო ასიგნება გადანაწილდა შემდეგნაირად:

- ხარჯები - 24384,90 ათასი ლარი, მათ შორის:

- ✓ შრომის ანაზღაურება - 4000,0 ათასი ლარი;
- ✓ საქონელი და მომსახურება - 6227,90 ათასი ლარი; აღნიშნულის ფარგლებში ფინანსდება როგორც თვითმმართველობაში შემავალი სტრუქტურული ერთეულების ნორმალური ფუნქციონირებისათვის სხვადასხვა მიმდინარე ხარჯები (მ.შ. შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება), აგრეთვე, სახელშეკრულებო წესით შესასრულებელი სხვადასხვა სახის მიმდინარე სამუშაოებისა და მომსახურების შესყიდვა - მუნიციპალიტეტში არსებული გარე-განათების ქსელის მოვლა-პატრონობის და ელექტროენერჯის ღირებულების ხარჯები; წყალმომარაგების სისტემის მიმდინარე შეკეთების და ელექტროენერჯის ღირებულების ხარჯები, სხვადასხვა მიმდინარე სამუშაოს განხორციელების ხარჯები; მუნიციპალიტეტის დასუფთავების და ნარჩენების გატანის ღონისძიებების ხარჯები; საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობის ხარჯები; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების მოვლა-პატრონობა; საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოვლა-პატრონობის ღონისძიებები; სასმელი წყლების ლაბორატორიული შემოწმების ხარჯები; ჩამდინარე წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა; გამწვანებული ზონების მოვლა-პატრონობის ღონისძიებები; სასმელი წყლის „სოკო“-ს მოვლა-შენახვის ხარჯი; გარემოს დაცვის ღონისძიებები; სპორტის განვითარების ხელშეწყობის, კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობის, ძეგლთა დაცვის ღონისძიებების და ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა და სხვა. აღნიშნული მუხლის ფარგლებში აგრეთვე დაგეგმილია „სარეზერვო ფონდი“, რომელიც განისაზღვრება - 150.0 ათასი ლარით და ხარჯვა განხორციელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.
- ✓ პროცენტების მუხლი - 435,0 ათასი ლარი, რომელიც გათვალისწინებულია მუნიციპალური განვითარების ფონდიდან აღებული სესხის პროცენტის დასაფარად.
- ✓ სუბსიდიების მუხლი განისაზღვრება - 11090,3 ათასი ლარით, საიდანაც თვითმმართველობა სუბსიდირების სახით აფინანსებს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს, პროფესიულ განათლებას, კულტურულ და სპორტულ ორგანიზაციებს, აგრეთვე ააიპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს, სუბსიდირების მუხლით ხდება სოციალური მიმართულებით გათვალისწინებული უფასო კვების პროგრამის დაფინანსება, მუნიციპალური ტრანსპორტის მომსახურების უზრუნველყოფა და სხვა სახის ღონისძიებების დაფინანსება.
- ✓ გრანტები - 50,0 ათასი ლარი.
- ✓ სოციალური უზრუნველყოფის მუხლი - 1581,90 ათასი ლარი ძირითადად, განკუთვნილია სოციალური პროგრამების დაფინანსებისათვის - მ.შ. მუნიციპალიტეტის მაცხოვრებელთა სხვადასხვა ფენის ელექტროენერჯის გადასახადზე თანადაფინანსებისათვის, სამედიცინო და მედიკამენტებით დახმარების პროგრამის დაფინანსებისათვის, საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში დაინვალიდებულთა შვილების დახმარებისათვის, სოციალურად დაუცველი და გაჭირვებული მოსახლეობის სხვადასხვა სახით დახმარებისათვის, ახალშობილი და მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებისათვის და სხვა.
- ✓ სხვა ხარჯების მუხლი - 999,80 ათასი ლარი, რომლის ძირითადი ნაწილი განკუთვნილია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თანადაფინანსების და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოების განსახორციელებლად, სპორტის, კულტურის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებების, ახალგაზრდული ღონისძიებების დასაფინანსებლად, აგრეთვე, საკრებულოს დეპუტატების უფლებამოსილების განსახორციელებლად ხარჯების დაფინანსებისათვის და სხვა.
- არაფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრება - 3187,30 ათასი ლარით, რომელიც ძირითადად გათვალისწინებულია ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად (საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია, წყალმომარაგების ღონისძიებები, სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა/რეაბილიტაცია, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შენობების რეაბილიტაცია და სხვა);
- ვალდებულებების კლების მუხლი განისაზღვრება - 123,3 ათასი ლარით, რომელიც გათვალისწინებულია მუნიციპალური განვითარების ფონდიდან წინა წლებში აღებული სესხის ძირის დაფარვისათვის.

- ინფრასტრუქტურულ ღონისძიებების დაფინანსება განისაზღვრა - 8729,0 ათასი ლარის ოდენობით; მათ შორის:
 - ✓ გზების კაპიტალური შეკეთება - 690,0 ათასი ლარი, განხორციელდება ქ.თელავში, ბარნოვის ქუჩის რეაბილიტაცია, ქ.თელავში თბილისის ქუჩაზე ქვაფენილის მოწყობა, ქ. თელავში ყვარლის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები, სოფ. ნასამხრალში (მელვინეობა მოსმიერის მიმართულებით) გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ქ. თელავში ლეონიძის ქ. რეაბილიტაცია, სოფ. ართანის შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია, სოფ. გულგულის შიდა საუბნო გზა, თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ იყალთოში (ლამიანის უბანში) გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, სოფელ კურდღელაურში გზის (N2 გზა) სარეაბილიტაციო სამუშაოები, სოფელ ლაფანყურში თანდილაშვილების უბნის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ქ. თელავში, იყალთოს ქუჩაზე და კვირიკე პატარის ქუჩაზე ქვაფენილის მოწყობა (2022 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხის თანადაფინანსება და სამუშაოების საზედამხედველო მომსახურება)
 - ✓ გზების მიმდინარე შეკეთება - 400,0 ათასი ლარი (თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაზიანებულია და აუცილებელ აღდგენით სამუშაოებს მოითხოვს რიგი მოასფალტებული ქუჩები, კერძოდ, ორმოული/ეკრანული შეკეთება განხორციელდება სავარაუდოდ 11000 კვ.მ. ფართზე.
 - ✓ საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება - 188,60 ათასი ლარი, აქედან
 - საგზაო ნიშნების, ქვეითთა გადასასვლელების მოწესრიგების და მოვლა-პატრონობის, ქუჩების ჰორიზონტალური მონიშვნა - 50,0 ათასი ლარი;
 - შუქნიშნების მოვლა-პატრონობა - 20,0 ათასი ლარი;
 - ზამთრის პერიოდში ქუჩების და ტროტუარების თოვლისგან გაწმენდის ღონისძიებები - 20,0 ათასი ლარი;
 - ვიდეო - სამეთვალყურეო კამერების მოვლა-პატრონობა - 23,60 ათასი ლარი;
 - გზებზე შემზღვევითი ბარიერების მოწყობა - 75,0 ათასი ლარი;
 - ✓ სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია 300,0 ათასი ლარი, განხორციელდება
 - ჭაბურღილების ტექნიკური მომსახურება - 250,0 ათასი ლარი;
 - 2022 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების თანადაფინანსება და საზედამხედველო მომსახურება - 50,0 ათასი ლარი (სოფ. ვარდისუბნის სასმელი წყლის ქსელების რეაბილიტაცია და ახალი სათავე ნაგებობის მოწყობა, სოფ. რუისპირში სასმელი წყლის სათავე ნაგებობის, მაგისტრალური წყალსადენის და გამანაწილებელი ქსელის მოწყობა).
 - ✓ სასმელი წყლის სისტემის ექსპლუატაცია - 1260,0 ათასი ლარი, აქედან:
 - მუნიციპალიტეტის სოფლებში სასმელი წყლის სისტემების მიმდინარე შეკეთება, რეზერვუარების მოვლა-პატრონობა - 350,0 ათასი ლარი;
 - სასმელი წყლის ჭაბურღილების მიერ მოხმარებული ელ. ენერჯის ანაზღაურება - 900,0 ათასი ლარი;
 - ბუნებრივი წყაროების ლაბორატორიული შემოწმება - 10,0 ათასი ლარი;
 - ✓ ჩამდინარე წყლების სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის ღონისძიებები - 300,0 ათასი ლარი. მათ შორის
 - არსებული ნიაღვარმიმღებების მოვლა-პატრონობა -130,0 ათასი ლარი,
 - ახალი ნიაღვარმიმღებების მოწყობა - 170,0 ათასი ლარი (მოეწყობა სოფ. კურდღელაურში, სოფ. კონდოლში და ქ. თელავში, ბათუმის ქუჩაზე);
 - ✓ გარე - განათების ქსელის ექსპლოატაცია - 1250,0 ათასი ლარი, აქედან
 - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ტექნიკური მომსახურება - 250,0 ათასი ლარი;

- გახარჯული ელ. ენერჯის ანაზღაურებისათვის გათვალისწინებულია 1000,0 ათასი ლარი;
- ✓ გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია/მოწყობა -250,0 ათასი ლარი
- ✓ მუნიციპალური ტრანსპორტის მომსახურება - 600,0 ათასი ლარი;
- ✓ ბინათმშენებლობის ღონისძიებები -510,0 ათასი ლარი, მათ შორის:
 - ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თანადაფინანსება - 250,0 ათასი ლარი, აღნიშნულით გათვალისწინებულია საკრებულოს მიერ მიღებული დადგენილების (წესი) შესაბამისად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მიერ განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული ღონისძიებების თანადაფინანსება;
 - მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოების განხორციელებისათვის 260,0 ათასი ლარი, 2022 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხის თანადაფინანსებისათვის და საზედამხედველო მომსახურებისათვის;
- ✓ მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები - 710,0 ათასი ლარი, მათ შორის:
 - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილმოწყობის სამუშაოები - 80,0 ათასი ლარი, (ქ. თელავში ჭადრის ხის ფიტოსანიტარული და სხვადასხვა სახის საკონსულტაციო მომსახურება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გაუთვალისწინებელ და განსაკუთრებულ შემთხვევაში სხვადასხვა მცირე სახის შესასრულებელი სამუშაოების განსახორციელების მიზნით საწვავით უზრუნველყოფა).
 - სასმელი წყლის „სოკო“ – 5,0 ათასი ლარი;
 - სრიგპ-ის ფარგლებში მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ღონისძიებები -625,0 ათასი ლარი (2022 წელს სრიგპ-ის ფარგლებში გამოყოფილი თანხის თანადაფინანსება და საზედამხედველო მომსახურება);
- ✓ სასაფლაოების მოვლა-პატრონობა - 70,0 ათასი ლარი;
- ✓ საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოვლა-პატრონობის და რეაბილიტაციის ღონისძიებები - 18,5 ათასი ლარი
- ✓ სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განსახორციელებელი ღონისძიებები - 239,0 ათასი ლარი (თანადაფინანსება);
- ✓ სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - 148,0 ათასი ლარი, განხორციელდება სოფ. ართანაში მდინარე „დიდხევში“ ნაპირსამაგრი გაბიონების მოწყობა და დამცავი კედლების მშენებლობა.
- ✓ დასუფთავების ღონისძიებები - 1000,0 ათასი ლარი (მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსახლეობიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა და ქალაქის ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების ღონისძიებების უზრუნველყოფა);
- ✓ გარემოს დაცვის ღონისძიებები -60,8 ათასი ლარი, აქედან:
 - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამხმარი და საფრთხის შემცველი ხეების მოჭრის და ვარჯის ფორმირების სამუშაოების დაფინანსება - 15,0 ათასი ლარი;
 - ხეების გაწმენდითი სამუშაოები (სოფ. კურდღელაურში „უსახელო ხევის“ გაწმენდა) – 45,8 ათასი ლარი;
- ✓ პარკების, სკვერებისა და სხვა გამწვანებული ზონების მოვლა-პატრონობის ღონისძიებები - 100,0 ათასი ლარი;
- ✓ სკოლამდელი განათლების დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა - 57,2 ათასი ლარი, განხორციელდება ქ. თელავში N1 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია. სოფ. ქვ. ხოდაშენის და სოფ. კონდოლის ბაგა-ბაღების სრული რეაბილიტაცია (2022 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხის თანადაფინანსება და საზედამხედველო მომსახურება);
- ✓ სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა - 280,0 ათასი ლარი

- ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ აკურის სამუსიკო სკოლა -61,40 ათასი ლარი;
 - ✓ კულტურული ღონისძიებები - 97,60 ათასი ლარი;
 - ✓ ახალგაზრდობის მხარდაჭერა 132,50 ათასი ლარი, მათ შორის:
 - ✓ ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება - 82,50 ათასი ლარი;
 - ✓ ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა - 50,0 ათასი ლარი;
 - ✓ ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა - 40,0 ათასი ლარი;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა -2596,20 ათასი ლარი;
 - ✓ ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი -140,0 ათასი ლარი
 - ✓ სოციალური დაცვა - 2456,20 ათასი ლარი, აქედან:
 - ავადმყოფთა სოციალური დაცვა - 36,0 ათასი ლარი, დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულ პირთა დახმარების პროგრამა (სამედიცინო პუნქტამდე ტრანსპორტირების ხარჯის დაფინანსებისათვის);
 - საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლთა შშმ შვილების სოციალური დაცვა -7,8 ათასი ლარი;
 - სოციალურად დაუცველ პირთა დახმარება -350,0 ათასი ლარი, (ზამთრის სეზონზე ოჯახების სათბობით უზრუნველყოფის პროგრამა);
 - უმწეოთათვის უფასო სასადილოს დაფინანსება - 703,0 ათასი ლარი;
 - ვეტერანთა, გარდაცვლილ დევნილთა და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯები - 10,0 ათასი ლარი;
 - ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა - 219,30 ათასი ლარი (მ.შ. მრავალშვილიანი ოჯახების (სადაც 4 და მეტი 18 წლამდე ბავშვია) ყოველთვიური დახმარება), ახალშობილთა ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება, სოციალურად დაუცველი ოჯახების 0- დან 1 წლამდე ასაკის ბავშვთა ხელოვნური კვების პროდუქტებით უზრუნველყოფა (2 თვე) და კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარების პროგრამის თანადაფინანსება);
 - ვეტერანთა საზოგადოება - 4,0 ათასი ლარი
 - მოქალაქეთა ტრანსპორტით მგზავრობის, კომუნალურ გადასახადებზე და თხევადი აირით დახმარების ღონისძიებები - 129,0 ათასი ლარი, (მოქალაქეთა ტრანსპორტით მგზავრობის (45,0 ათ. ლარი), თხევადი გაზით დახმარების პროგრამა (46,0 ათ. ლარი), კომუნალური გადასახადების (ელ. ენერჯის) თანადაფინანსების პროგრამა (38,0 ათ. ლარი);
 - დროებითი გადახდებით უზრუნველყოფის ღონისძიებები - 120,0 ათასი ლარი;
 - სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებული დახმარების ღონისძიებები - 40,0 ათასი ლარი;
 - სამედიცინო და მედიკამენტებით დახმარების ღონისძიებები -754,0 ათასი ლარი სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფი (მ.შ. მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრები) აღსაზრდელების სტომატოლოგიური მომსახურებაზე დახმარება - 4,0 ათ.ლარი)
 - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა 70,0 ათასი ლარი (მ.შ. ააიპ „ალტერ ეგო“-ს მიერ განსახორციელებელი პროექტის, თელავის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ფსიქიკური აშლილობის მქონე მოზრდილი ასაკის შშმ პირებისათვის ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის დღის ცენტრის მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდა, თანადაფინანსება; „სიდა“-ს (საქართველოს საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის ასოციაცია) შშმ ბავშვთა დღის ცენტრის პროგრამის თანადაფინანსება; ბავშვთა ადრეული განვითარების (მუსიკათერაპია) პროგრამის დაფინანსება);

- 1989 წლის 9 აპრილს დაზარალებულ პირთა დახმარება - 1,8 ათასი ლარი;
- საქართველოს წითელი ჯვრის თანადაფინანსება - 11,3 ათასი ლარი.

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები - 6210,80 ათასი ლარი, მათ შორის:

- მუნიციპალიტეტის საკრებულო - 1142,70 ათასი ლარი;
- მუნიციპალიტეტის მერია - 4144,80 ათასი ლარი;
- სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის სამსახური - 165,0 ათასი ლარი;
- სარეზერვო ფონდი - 150,0 ათასი ლარი;
- მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა -558,30 ათასი ლარი
მუნიციპალური განვითარების ფონდიდან აღებული სესხის პროცენტის და ძირითადი თანხის დასაფარად
- ა(ა)იპ კახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია - ვიზით კახეთი -50,0 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

ათასი ლარი

კოდი	დასახელება	2022 წლის პროექტი
სულ		27695.50
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	6210.80
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	5452.50
01 01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	1142.70
01 01 02	მუნიციპალიტეტის მერია	4144.80
01 01 03	სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის სამსახური	165.00
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	758.30
01 02 01	სარეზერვო ფონდი	150.00
01 02 03	მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	558.30
01 02 04	ა(ა)იპ კახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია - ვიზით კახეთი	50.00
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	6934.10
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	1278.60
02 01 01	გზების კაპიტალური შეკეთება	690.00
02 01 02	გზების მიმდინარე შეკეთება	400.00
02 01 03	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	188.60
02 02	წყლის სისტემების განვითარება	1860.00
02 02 01	სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია	300.00
02 02 02	სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაცია	1260.00
02 02 03	ჩამდინარე წყლების სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის ღონისძიებები	300.00
02 03	გარე განათება	1500.00
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	1250.00
02 03 02	გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია/მოწყობა	250.00
02 04	მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება	600.00
02 04 01	მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის ღონისძიებები	0.00
02 04 02	მუნიციპალური ტრანსპორტის მომსახურება	600.00
02 05	ბინათმშენებლობის ღონისძიებები	510.00
02 05 01	სახურავების, სადარბაზოების და სხვა რეკონსტრუქცია შეკეთების ღონისძიებები	510.00
02 06	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	710.00
02 06 01	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილმოწყობის სამუშაოები	80.00

კოდი	დასახელება	2022 წლის პროექტი
02 06 02	სასმელი წყლის „სოკო“	5.00
02 06 03	სრიგპ-ის ფარგლებში მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ღონისძიებები	625.00
02 07	სარიტუალო ღონისძიებები	70.00
02 07 01	სასაფლაოების მოვლა-პატრონობა	70.00
02 08	საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოვლა-პატრონობის და რეაბილიტაციის ღონისძიებები	18.50
02 09	სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განსახორციელებელი ღონისძიებები	239.00
02 10	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	0.00
02 11	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	148.00
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1160.80
03 01	დასუფთავების ღონისძიებები	1000.00
03 02	გარემოს დაცვის ღონისძიებები	60.80
03 03	პარკების, სკვერებისა და სხვა გამწვანებული ზონების მოვლა-პატრონობის ღონისძიებები	100.00
04 00	განათლება	5928.60
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	5758.10
04 02	სკოლამდელი განათლების დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	57.20
04 03	პროფესიული განათლების ხელშეწყობა	113.30
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	4865.00
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	2200.60
05 01 01	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	280.00
05 01 02	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	1791.10
05 01 03	სპორტული ღონისძიებები	129.50
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	2195.00
05 02 01	კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა	2097.40
05 02 02	კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	0.00
05 02 03	კულტურული ღონისძიებები	97.60
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	132.50
05 03 01	ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება	82.50
05 03 02	ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა	50.00
05 04	ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	40.00
05 05	ძეგლთა დაცვის ღონისძიებები	196.90
05 06	დასვენების ღონისძიებების ხელშეწყობა	100.00
06 00	ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2596.20
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	140.00
06 01 01	ა(ა)პ - თელავის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი	140.00
06 01 02	ჯანდაცვის ხელშეწყობის ღონისძიებები	0.00
06 02	სოციალური დაცვა	2456.20
06 02 01	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	36.00
06 02 02	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება	357.80
06 02 02 01	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლთა შშმპ შვილების სოციალური დაცვა	7.80
06 02 02 02	სოციალურად დაუცველ პირთა დახმარება	350.00
06 02 03	უმწეოთათვის უფასო სასადილოს დაფინანსება	703.00
06 02 04	ვეტერანთა, გარდაცვლილ დევნილთა და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯები	10.00

კოდი	დასახელება	2022 წლის პროექტი
06 02 05	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	219.30
06 02 06	ვეტერანთა საზოგადოება	4.00
06 02 07	მოქალაქეთა ტრანსპორტით მგზავრობის, კომუნალურ გადასახადებზე და თხევადი აირით დახმარების ღონისძიებები	129.00
06 02 08	დროებითი გადახდებით უზრუნველყოფის ღონისძიებები	120.00
06 02 09	სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებული დახმარების ღონისძიებები	40.00
06 02 10	სამედიცინო და მედიკამენტებით დახმარების ღონისძიებები	754.00
06 02 11	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	70.00
06 02 14	1989 წლის 9 აპრილს დაზარალებულ პირთა დახმარება	1.80
06 02 15	საქართველოს წითელი ჯვრის თანადაფინანსება	11.30

თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ კრილში

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 5922,5 ათასი ლარი;
- თავდაცვა - 165,0 ათასი ლარი;
- ეკონომიკური საქმიანობა - 2651,60 ათასი ლარი;
- გარემოს დაცვა - 1360,8 ათასი ლარი;
- საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 4082,50 ათასი ლარი;
- ჯანმრთელობის დაცვა - 140,0 ათასი ლარი;
- დასვენება, კულტურა და რელიგია - 4865,0 ათასი ლარი;
- განათლება - 5928,6 ათასი ლარი;
- სოციალური დაცვა - 2456,20 ათასი ლარი;